სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა მოსკოვში ილიაობის დღესთან დაკავშირებულ დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა

2021 წლის 2 აგვისტოს სლავონია-პაკრაცკის ეპისკოპოსმა იოანემ (სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია) მოსკოვში წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხსენებისადმი დაკავშირებულ დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ქალაქ მოსკოვის პირველი ვიკარიუსის თანაშემწესთან, მიტიშინის ეპისკოპოს თეოფილაქტესთან ერთად მან საღვთო ლიტურგია აღავლინა წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში ძველი ნოვგოროდის მეტოქში, იგივე ჩინეთ-ქალაქში.

მიმდინარე წელს ილინის ტაძრის კურთხევის 500-წლეული აღინიშნება, რომელიც უძველესია ჩინეთ-ქალაქში შემორჩენილ ტაძრებს შორის; მისგან მიეცა სახელწოდება ილინკის ქუჩას.

იერარქებს თანამსახურებდნენ ივერიის ოლქის ბლაღოჩინი (კეთილმოწესე), ილინკის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ანდრეი რეჩიცკი, ზარიადში საპატრიარქოს მეტოქი ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ვიაჩესლავ შესტაკოვი, ილინკის ტაძრის კლირიკოსები და მოწვეული სასულიერო პირები.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულა ტაძრის გუდმა რეგენტ პეტრე სავინკოვის ხელმძღვანელობით.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ მოეწყო ჯვრით მსვლელობა ილინის ტაძრიდან წითელ მოედნამდე. ლობნოს ადგილზე („თხემის ადგილზე“) მიტიშინის ეპისკოპოსმა თეოფილაქტემ პარაკლისი აღასრულა.

პარაკლისის დასრულების შემდეგ მწყემსმთავარმა სადღესასწაულო ღონისძიების ყველა მონაწილეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა გადასცა.

მისასალმებელი სიტყვით და მილოცვით გამოვიდნენ რუსეთის ДОСААФ-ის (არმიის, ავიაციისა და ფლოტის დახმარების ნებაყოფლობითი საზოგადოება) გენერალ-პოლკოვნიკი ა. პ. კოლმაკოვი და ქალაქ მოსკოვის ეროვნული პოლიტიკისა და რეგიონთაშორისი კავშირების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კ. ლ. ბლაჟენოვი.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ვასილევსკის დაღმართზე რუსეთის დამსახურებული არტისტის ვიკტორ სოროკინისა და მოსკოვის კაზაკთა გუნდის კონცერტი გაიმართა. შესვლა ყველა ღონისძიებაზე განხორციელდა მოსაწვევი ბილეთებითა და მომხმარებლისა და ადამიანის კეთიდღეობის დაცვის სფეროში რუსეთის საზედამხდველო სამსახურის (Роспотребнадзор) მოთხოვნილებათა გათავალისწინებით. ზეიმში მონაწილეობა 500-მდე ადამიანმა მიიღო.

ივერიის საბლაღოჩინო მოსკოვში/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87851/